საქართველოს მთავრობის

დადგენილება №328

2017 წლის 7 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო განრიგისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 იანვრის №97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო განრიგისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 იანვრის №97 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/01/2014, 190020010.10.003.017716) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხისა და ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“.

2. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1**. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27^2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს 6-ზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს, ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 32 ერთეულით (გარდა სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორისა, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებს, სადაც ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 31 ერთეულით, №2 დანართის შესაბამისად, ასევე გარდა სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორისა, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებს, სადაც ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 33 ერთეულით, №1 დანართით გათვალისწინებული შენიშვნის შესაბამისად) და დამტკიცდეს ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა და ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები №1 დანართის შესაბამისად.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს 6 და 6-ზე ნაკლები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს, ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 31 ერთეულით (გარდა სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორისა, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს გორის, კასპის, ქარელის, ხაშურისა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებს, სადაც ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 32 ერთეულით, №2 დანართით გათვალისწინებული შენიშვნის შესაბამისად) და დამტკიცდეს ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა და ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები №2 დანართის შესაბამისად.“.

3. პირველი მუხლით დამტკიცებული №1 და №2 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი №1

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა და ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები

თანამდებობის დასახელება	**საშტატო ერთეულის რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო (ლარობით)**
პოლიტიკური თანამდებობის პირები		
სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი	1	2,950.0
სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის პირველი მოადგილე	1	2,360.0
სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე	2	2,250.0
	სულ: 4	
სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატი		
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1,550.0
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	1	1,180.0
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	750.0
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	750.0
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	680.0
მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	550.0
	სულ: 10	
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახური		
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1,550.0
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	1	1,180.0
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	750.0
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	750.0
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	680.0

მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	550.0
	სულ: 11	
რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახური		
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1,550.0
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	1	1,180.0
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	750.0
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	750.0
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	680.0
მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	550.0
	სულ: 7	
სულ:	32	

შენიშვნა:
სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებს, ჰყავს პირველი მოადგილე და სამი მოადგილე. შესაბამისად, ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 33 ერთეულს.

დანართი №2

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა და ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები

თანამდებობის დასახელება	**საშტატო ერთეულის რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო (ლარობით)**
პოლიტიკური თანამდებობის პირები		
სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი	1	2,950.0
სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის პირველი მოადგილე	1	2,360.0
სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე	2	2,250.0
	სულ: 4	
სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატი		
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1,550.0
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	1	1,180.0
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	750.0

მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	750.0
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	680.0
მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	550.0
	სულ: 10	
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახური		
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1,550.0
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	1	1,180.0
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	750.0
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	750.0
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	680.0
მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	550.0
	სულ: 10	
რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახური		
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1,550.0
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	1	1,180.0
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	750.0
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	750.0
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	680.0
მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	550.0
	სულ: 7	
სულ:	31	

შენიშვნა:
სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებს, ჰყავს პირველი მოადგილე და სამი მოადგილე. შესაბამისად, ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 32 ერთეულს.